საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №190/19-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 21 ნოემბრის №190 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 4 თებერვლის №190/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი საუბრობს მოსამართლის მხრიდან დისციპლინურ დარღვევებზე, რასთან დაკავშირებითაც საჩივარში მიუთითებს შემდეგ ფაქტებზე:
- მოსამართლე -- -- მის სარჩელს (02.03.2016) განიხილავდა 16 თვე და 18 დღე;
- 2017 წლის 26 აპრილს გამართულ სხდომაზე, მოსამართლე -- -- კანონის არცოდნის გამო უსაფუძვლოდ ცდილობდა მისი უფლების შეზღუდვას, რაც გამოიხატა შემდეგში, რომ ჯერ აუკრძალა სხდომის აუდიო ჩაწერა, ხოლო მას შემდეგ რაც თვითონ განუმარტა ჩაწერის უფლებამოსილების შესახებ, ადგილზე გაეცნო ნორმას და გამოიტანა საოქმო განჩინება ვითომდა მისი შუამდგომლობა სხდომის აუდიო ჩაწერის შესახებ დაკმაყოფილდა. საჩივრის ავტორის თქმით, მას შუამდგომლობა არ დაუყენებია და მოსამართლემ ისე, რომ მის უფლებამოსილებას არ განეკუთვნებოდა, გასცა ნებართვა ადგილიდან სხდომის აუდიო ჩაწერის შესახებ;
- მოსამართლე -- -- დააგვიანა 2019 წლის 8 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე;
- მოსამართლემ 2019 წლის 8 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე უსაფუძვლოდ დააჯარიმა 50 ლარით;
- მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა ფონოგრამის ტექსტის გაშიფვრის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რითიც საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები დაამახინჯა, თითქოსდა საჩივრის ავტორმა მოახდინა მოთხოვნის დაზუსტება (გადაწყვეტილების 3.5 პუნქტი).

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2016 წლის 2 მარტს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიმართ და მოითხოვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 7 მარტის განჩინებით, -- -- სარჩელზე დადგინდა ხარვეზი. -- -- 2016 წლის 21 მარტს დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსამართლე -- -- საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო, საქმე განსახილველად გადაეწერა იმავე კოლეგიის მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 25 მარტის განჩინებით, -- -- სარჩელზე გაუგრძელდა ხარვეზის აღმოფხვრის ვადა. -- -- 2016 წლის 4 აპრილს დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 25 მარტის განჩინებით, -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და იმ ეტაპისთვის ცნობილი იქნა დასაშვებად.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა 2016 წლის 18 აპრილს წარადგინა შესაგებელი. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2016 წლის 25 აპრილის განჩინებით, დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2016 წლის 25 მაისს. -- -- 2016 წლის 27 აპრილს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ზეპირი განხილვის აუდიო ოქმის ჩანაწერის თაობაზე. 2016 წლის 25 მაისს საქმეზე გაიმართა მოსამზადებელი სხდომა.

-- -- 2016 წლის 2 სექტემბერს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- და მოითხოვა სასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა. სასამართლო მთავარი სხდომა გაიმართა 2017 წლის 25 იანვარს, 1 მარტს, 26 აპრილს და 28 ივნისს.

2017 წლის 26 აპრილის სასამართლო სხდომის დასაწყისში მოსარჩელემ მოითხოვა პირადად განეხორციელებინა სხდომის აუდიო ჩანაწერი, რაზეც მოსამართლემ თავდაპირველად უარი განუცხადა და უთხრა, რომ ამის უფლება არ ჰქონდა. -- -- განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ, რომ მას ამის უფლება ჰქონდა და, მსგავსად, ჩაწერას ახორციელებდა სხვა პროცესებზეც, დროის ხანმოკლე პერიოდში, მოსამართლე -- -- მოთხოვნა აუდიო ჩაწერაზე მიიჩნია შუამდგომლობად და მიიღო საოქმო განჩინება, მოსარჩელე -- -- აუდიო ჩაწერის ნებართვის თაობაზე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.2. №-- საქმეზე სასამართლო სხდომა დაინიშნა 2019 წლის 8 ოქტომბერს 16:00 საათზე. სხდომის ელექტრონული ჩანაწერის თანახმად, სასამართლო სხდომა დაიწყო ნაცვლად 16:00 საათისა 16:20 საათზე. 2019 წლის 8 ოქტომბრის სხდომაზე მოსამართლე -- -- შენიშვნის მიცემის და გაფრთხილების შემდეგ, სასამართლოს შეურაცხყოფის და უპატივცემულობის გამო, მოსარჩელე -- -- დააჯარიმა 50 ლარით.

2.3. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა:
- 2016 წლის მდგომარეობით 594 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც დასრულდა - 424 საქმე (71%);
- 2016 წლის მდგომარეობით 612 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, საიდანაც დასრულდა - 557 საქმე (91%);
- 2017 წლის მდგომარეობით 684 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც დასრულდა - 558 საქმე (82%);
- 2017 წლის მდგომარეობით 382 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, საიდანაც დასრულდა - 291 საქმე (74%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 4 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 21 ნოემბრის №190 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული, მნიშვნელოვანია განისაზღვროს:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiecre and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საპროცესო ვადებზე საუბრისას საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, მისი მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.[2] სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[3]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[4]

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.[5]

---

[1] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/5/879, 2019 წლის 14 ნოემბერი, II 2 (5)

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II 7

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[6]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის საპროცესო ვადის არსებით დარღვევას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებით.

მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი (1 წელი, 4 თვე და 17 დღე). უშუალოდ მოსამართლე -- -- წარმოებაში საქმე იმყოფებოდა 1 წლისა და 3 თვის ვადით, საქმის განხილვისათვის დადგენილი 5 თვიანი საპროცესო ვადა დაირღვა 10 თვემდე ვადით.

გასათვალისწინებელია მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე, დატვირთულობა და განსახილველ საქმესთან მიმართებაში განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, რაც განსახილველ შემთხვევაში არ ქმნის საკმარის საფუძველს საქმის განხილვის საპროცესო ვადის არსებით დარღვევად შეფასებისათვის.

4.2. ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან აუდიო ჩაწერის შეზღუდვასა და სხდომის 20 წუთიანი დაგვიანებით დაწყებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და

[6] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

მოცემულ საქმეზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეოჩაწერა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიერ კანონის არასწორი განმარტება ან/და გამოყენება, რასაც საფუძვლად უდევს მისი შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

განსახილველ შემთხვევაში მოსამართლის მხრიდან ადგილი ჰქონდა სხდომაზე დაგვიანების ფაქტს და მხარისათვის კანონის განმარტებას, რომ არ ჰქონდა აუდიო ჩაწერის გაკეთების უფლება, რაც შესაძლოა ფორმალურად შეიცავდეს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, თუმცა, არც ერთ ამ შემთხვევაში მოსამართლის ქმედებებს არ გამოუწვევია რაიმე სახის ზიანი მხარისათის ფუნდამენტურ საპროცესო უფლებათა შელახვის თუ სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევის კუთხით. ამასთან, ქმედებები არ შეესაბამება რომელიმე კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომას.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა, მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №190/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი